კარიკატურისტის თვალით დანახული 1905 წლის რევოლუცია საქართველოში

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

მიზანი - მოსწავლეები მსჯელობენ 1905 წლის რევოლუციის შესახებ.

აქტივობის განსახორციელებლად მოცემულია სამი კარიკატურა. კარიკატურები შექმნილია საქართველოში, სავარაუდოდ, გერმანული წარმოშობის ქართველი ფერმწერის ოსკარ შმერლინგის მიერ. წარმოდგენილი კარიკატურები 1906 წლით თარიღდება. ეს იყო პერიოდი, როდესაც ნელ-ნელა ცხრებოდა 1905 წლის რევოლუციით გამოწვეული არეულობა რუსეთის იმპერიაში. ჩვენი მასწავლებლებისთვის კარგადაა ცნობილი ამ მოვლენის გამოძახილი საქართველოში, რომელიც იმ პერიოდის ერთ-ერთი უმწვავესი კერა გახლდათ.
ჩვენი რეკომენდაციით, ამ აქტივობის განხორციელება შეიძლება მაშინ, როდესაც მოსწავლეები შეისწავლიან 1905 წლის რევოლუციასა და მის შედეგებს. დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მოსწავლეებს გამოუმუშავებს კრიტიკულ აზროვნების და ისტორიული მოვლენის ანალიზის უნარს.

ეს აქტივობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ასევე, შესაძლებელია დავალება მივცეთ როგორც წერით, ასევე ზეპირად შესასრულებლად.

წინამდებარე აქტივობა განკუთვნილია IX - XII კლასის მოსწავლეებისთვის.

წარმოდგენილია სამი ქართული კარიკატურა, რომლებიც შექმნილია 1906 წელს. ეს სავარჯიშო მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ მას შემდეგ, რაც შეისწავლიან 1905 წლის რუსეთის რევოლუციას და მის განვითარებას საქართველოში.

დავალება:

პასუხი გაეცით ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

1. ვინ არიან პერსონაჟები და რატომ დგანან ზღვის პირას, კლდეზე N1 კარიკატურაში?
2. რა სიმბოლოს მატარებელია ზღვა N1 კარიკატურაში?
3. როგორ ფიქრობთ, რევოლუციის რა პერიოდს ეხება N1 კარიკატურა?
4. დააკვირდით კარიკატურა N2-ს და განსაზღვრეთ, რომელი სიმბოლოს აღმნიშვნელია ქალი?
5. რომელი სიმბოლოს მატარებლები არიან კურდღლები N2 კარიკატურაში?
6. რა ისტორიული დატვირთვა აქვს N2 კარიკატურას?
7. რა როლს ასრულებს ხალხი N3 კარიკატურის შინაარსიდან გამომდინარე?
8. რა როლს ასრულებს ხელისუფლება N3 კარიკატურის შინაარსიდან გამომდინარე?
9. რომელ ისტორიულ მოვლენას ეხება ეს სამი კარიკატურა?
10. რამდენად ტენდენციურია კარიკატურების ავტორი? დაასაბუთეთ.
11. როგორ ეხმარება სატირული ხელოვნება ისტორიკოსს წარსულის კვლევაში?

კარიკატურა N1



კარიკატურა N2



(გენერალი დრაგომიროვის აზრი რუსეთის სიხარბეზე. „პ. ფ.“).

კარიკატურა N3



სკოლებში ნებიერი სწავლა სწარმოებს.

ქუჩებში სრული წესიერება.

ფინანსიური მდგომარეობა მტკიცე და შეურყეველია.

კაზეთები თავ-თავის დროზე გამოდის.

კეთილგანწყობილი ვაჭრობა.

მთავრობა დიდი ზრუნვის განთდებულია უზრუნველ ცხოვრებისათვის.